



ამდის, ნათქვამი!

ჩემი საქართველო



№54, აპრილი, 2018

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორადი, პროფესორ-მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

ჩილაძე
სტუდენტები
აქტივისტები



პროფესორი ჩემი საქართველო

ბარი ჩაფიქვა: - პედაგოგიკის დონობა



გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთ „ჩემი საქართველო“ №53

არსებობს ათობით, ასობით პროფესია, სპეციალობა, სამუშაო: ერთს რკინიგზა გაჰყავს, მეორე საცხოვრებელ სახლებს აშენებს, მესამეს ხორბალი მოჰყავს, მეოთხე ადამიანებს კურნავს, მეხუთე ტანსაცმელს კერავს, ზოგიც თავს ვაჭრობით ირჩენს, მაგრამ არის ყველაზე უნივერსალური, ყველაზე რთული და უკეთილშობილესი სამუშაო, რომელიც ყველასათვის ერთიანია და იმავე დროს ყოველ ოჯახში თავისებური და განუმეორებელია, - ეს არის ადამიანის აღზრდა და ჩამოყალიბება...

ამ სამუშაოს განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ადამიანი მასში პოულობს ისეთ ბედნიერებას, რომლის შედარება არაფერთან არ შეიძლება. ადამიანთა მოდგმას რომ აგრძელებენ. მშობლები თავიანთ შვილში იმეორებენ თავიანთ თავს და იმაზე, თუ რამდენად შეგნებულა ეს გარემოება, დამოკიდებულია მორალური პასუხისმგებლობა ადამიანისათვის, მისი მომავლისათვის ყოველი წამი ამ სამუშაოს, რომელსაც აღზრდა ეწოდება, ეს არის მომავლის შექმნა და მომავლისთვის მზერა.

აღზრდაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და ინტიმური... სწორედ ამ შერწყმაშია ადამიანის ბედნიერების ჰარმონია.

თუ თქვენ იმაზე ოცნებობთ, რომ ამქვეყნად

თქვენს შემდეგ კვალი დატოვოთ, სავალდებულო არ არის იყოთ გამოჩენილი მწერალი ან მეცნიერი, კოსმოსური ხომალდის შემოქმედი ან პერიოდული სისტემის ახალი ელემენტის აღმოჩენი, თქვენ შეგიძლიათ საზოგადოებაში სახელი მოიხვეჭოთ კარგი შვილების აღზრდით, კარგი მოქალაქეების, კარგი მშრომელების, კარგი ვაჟიშვილის, კარგი ქალიშვილის, მომავალი კარგი მშობლების აღზრდით.

ადამიანის შექმნა, სულიერი ძალის უმაღლეს დაძაბულობას მოითხოვს და მისი შედეგია. ეს არის ცხოვრებისეული სიბრძნე, ოსტატობაც, ხელოვნებაც, შვილები არა მარტო და არა იმდენად ბედნიერების წყაროა, შვილები - ეს არის ბედნიერება, რომელიც თქვენი შრომითაა შექმნილი. გახსოვდეს ეს - შენც, ჭაბუკო, რომელიც გულის ფანცქალით მოელი შეყვარებულთან პაემანის წუთს, შენც, ახალგაზრდა მამავ, პირმშო აკვანში, რომ გიმღერის თავის მარადიულ სიმღერას, შენც, გაჭალარავებულო, ოჯახური ცხოვრების სიხარულითა და მღელვარებით გამობრძმედილო კაცო, შვილების მამავ და შვილიშვილების პაპავ! მამობრივი და დედობრივი ბედნიერება ციური მანანა არ არის, იგი სადღესასწაულო სტუმარივით კარს არ მოგადგებათ, როგორც კი თქვენ, გოგონავ და ჭაბუკო, ცოლ-ქმარი გახდებით. ეს ბედნიერება ძნელი მისაღწევია, სიმწრით არის მოპოვებული იგი მხოლოდ იმათი ხვედრია, ვისაც არ ეშინია ერთფეროვანი, მრავალფეროვანი, თავდავიწყებამდე მისული შრომისა... ამ შრომის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ეს შრომა წარმოადგენს გონებისა და გრძნობების, სიბრძნისა და სიყვარულის შერწყმას. იმის უნარი, რომ ახლანდელი წუთით რომ ტკბები, მღელვარებით შეხედო მომავალსაც, იქ, სადაც ეს ბრძნული მამობრივი და დედობრივი უნარი დაკარგულია, ბედნიერება მოჩვენებად იქცევა.

უკრაინაში, კიროვიგრადის ოლქის, პატარა სოფელ პავლიშის საშუალო სკოლაში, სადაც ვასილ სუხოპლინსკი პედაგოგიურ მოღვაწეობას

ენეოდა, მეორე კლასში ორი მეგობარი გოგონა სწავლობდა, ერთ-ერთ მათგანს - ნატაშას, მამა არ ჰყავდა, როცა გოგონა პატარა იყო, ხშირად ეკითხებოდა დედას, სად არისო მამა, დედა დუმდა, ერთხელ კი ატირდა... მოწაფე რომ გახდა, ნატაშას დედისთვის აღარასოდეს უკითხავს მამის ამბავი...

მის მეგობარს ნასტიას დედაც ჰყავდა და მამაც, ერთხელ ნასტია ნატაშას ესტუმრა და ჰკითხა: „სად არის მამაშენი?“ გოგონას შერცხვა ეთქვა, რომ მას მამა არ ყავს და უპასუხა: „ჩემი მამიკო მფრინავია, ფრინავს... შინ იშვიათად მოდის ხოლმე“. იმ ფულიდან, რომელსაც დედა ნატაშას სადილისთვის აძლევდა, ბავშვი ყოველდღე რამდენიმე კაპიკს გადაანარჩუნებდა, ერთხელ ჩაჯდა ავტობუსში, ქალაქში გაემგზავრა და მფრინავის კარტუზი იყიდა... თუ გოგონას დღიურში ცუდი ნიშნები ჩაიწერებოდა, იგი მეგობარს ეუბნებოდა: „ოი, რა მეშველება, რას მეტყვის ჩემი მამიკო...“ ამ სიტყვებში უღერდა არა შიში, არამედ სიამაყე...

ნატაშა გაიხარდა. ახლა მას თავის ოჯახი აქვს, ჰყავს ქმარი და ორი გოგონა. მასხოვს, როცა ახალგაზრდა დედამ თავისი უფროსი გოგონა სკოლაში პირველად მიიყვანა, მამამ - თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მჭირდებოდა მე ბავშვობაში მამა. მე იგი ჩემს წარმოდგენაში შევექმენი. ასე უფრო ადვილი იყო ცხოვრება. მამა წარმოდგენილი მყავდა კეთილ, მაგრამ მკაცრ, მომთხოვნ ადამიანად. მინდოდა, რომ ერთხელ ჩემი დღიური აელო და ეთქვა: „აბა, მაჩვენე, ჩემო გოგონა, რა გინერია დღიურში...“ განსაკუთრებით მძიმე იყო ის დღეები, როცა ვავადმყოფობდი. როგორ ველოდი, რომ ჩემს სანოლთან გამოვივლის დიდი, ძლიერი ადამიანი, თავზე ხელს დამადებს და გამახარებს: „არაფერია, ჩემო გოგონა, მალე გამოჯანმრთელდები...“

ხედავთ? - რამხელა მისია აკისრია მშობლებს? ხედავთ, როგორ მჭირდებოდა ისინი პატარებს? ამიტომაცაა, რომ ბევრი რამის დათმობა გვიწევს მშობლის საამაყო და საპატიო სახელის სატარებლად!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენს ინსტიტუტს აპერიკის დელეგაცია ეწვია



ურთიერთობათა ინსტიტუტის საქმიანობას, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა, მატერიალ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა, წაკითხული იქნა საჯარო ლექცია, შეხვედრა მთლიანად ინგლისურ ენაზე წარიმართა, აქტიურობდნენ სტუდენტები: თორნიკე სულთანიშვილი, ლიზი ჩიხლაძე, ლევან ზურიკაშვილი, გიორგი ბუბაშვილი, ლანა ფრიდონაშვილი, გიორგი ჯიმშელიაშვილი, გიორგი კილაძე...

და განსაკუთრებით ლელავა ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის ინგლისური ენის პედაგოგი ნანა წიკლაური, რომელმაც მართლაც შესანიშნავად მოამზადა აუდიტორია.

საქმიანი ვიზიტის ფარგლებში ამერიკელი სტუმრები შეხვდნენ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს, საქართველო-ამერიკის მეგობრობის ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ გარი ჩაფიძეს, რომელსაც გადასცეს ფილოსოფიის საერთაშორისო დოქტორის მინიჭების რწმუნება.

აღნიშნულ ვიზიტზე, განხილული იქნა ამერიკის წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის, ასევე საქართველო-ამერიკის მეგობრობის ინსტიტუტის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.

საინტერესოდ, საქმიანად, შემოქმედებითად წარიმართა ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში პედაგოგთა და სტუდენტთა შეხვედრა ამერიკის წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ ზვიად კლიმენტ ლაზარაშვილთან და ამავე უნივერსიტეტის პრორექტორ ჯორჯ სტასენთან, სტუმრები ძირფესვიანად გაეცნენ საქართველო უკრაინის სოციალურ



ახალციხე მეცად ეანვითაჰქვას ჯაჰიჰქვით!

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის, ქალაქ ახალციხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი არსებობის 5 წლის ისტორიას ითვლის. მას იმთავითვე სათავეში ჩაუდგა და დღემდე წარმატებულად ხელმძღვანელობს პეტრე ჩიტაშვილი. სასწავლო ცენტრი ახალგაზრდების ინტერესებზეა მორგებული, ამიტომ მასში ირიცხებიან როგორც 9 და 12 კლასდამთავრებულნი ასევე X-XI-XII კლასის მოსწავლეები სკოლის სწავლისაგან მოუწყვეტლად. სასწავლებელი გახსნის დღიდან ძალზე საინტერესოდ და აქტიურად მოღვაწიებს. შესანიშნავ პედაგოგთა გუნდთან და პრაქტიკის ხელმძღვანელებთან ერთად. სწავლის პროცესის პარალელურად, ყველა სტუდენტი ყოველწლიურად ჩართულია სამეცნიერო კონფერენციების მომზადებაში. რაც მათი პროფესიული განათლების ძირითადი ხელისშემწყობი ბერკეტია. საყურადღებოა, სასწავლო პროცესის მეტად საინტერესოდ წარმართვისთვის და სამართლის საგნების უკეთ აღქმისა და გააზრებისთვის, გასული წლის მაისში, ლექტორ-მასწავლებლის ინგა მალრადის ინიციატივით, დაცვა-პატრულირების სპეციალობის II და III კურსის სტუდენტთა სტუმრობა ქალაქ ახალციხის რაიონულ სამმართველოში, სადაც წესრიგის მომავალი დამცველები დაესწრნენ სასამართლო სხდომას. ეს ინიციატივა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, რომ შემდეგ, ამავე პედაგოგის ხელმძღვანელობითა და სასწავლებლის მეთოდ კაბინეტის გამგის, მანანა

სუდაძის დიდი ხელშეწყობით, სტუდენტებმა იმიტირებული სასამართლო სხდომა გამართეს, მასში ჩართული იყო სასწავლებლის თითქმის ყველა სტუდენტი. ამ ღონისძიებამ დიდი მოწონება და დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა შექება დაიმსახურა სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის პეტრე ჩიტაშვილის მხრიდან, რომელმაც აღნიშნა: “დიდი სიამოვნებით მივესალმები სტუდენტებისაგან მსგავს ღონისძიებებს და ყველანაირად ხელს შევეწყობთ სასწავლებელში, მის მუდმივად დანერგვას, არამარტო იმიტირებული სასამართლოს მოწყობაში, არამედ სხვა იმიციატივებშიც”.

ქალაქ ახალციხის სასწავლო ცენტრი ამაყობს თავისი წარმატებული კურსდამთავრებულებით: ნათია მერაბიშვილით, რატი გელხვიძით, ქეთი კაპანაძით, ირმა კოჩალიძით, მარინე მელიქიძით, ლელა კაპანაძით... ხოლო ნაზი ახალკაცი, ნათია კირვალიძე და ასევე სხვები დღევანდელი დღის წარჩინებული სტუდენტები არიან!

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი სასწავლო ცენტრის თითქმის ყველა კურსდამთავრებული უკვე მუშაობს ქალაქის სხვადასხვა დაცვის სამსახურებში, აფთიაქებში, ბანკებში, ბაგა-ბაღებსა თუ სხვა სამსახურებში. ასე, რომ სასწავლებლის ხუთწლიან ძალისხმევას და შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, ვაპირებთ მეტად განვითარებასა და მრავალი წარჩინებული სტუდენტის გამოშვებას.

მანანა სულაძე
ქალაქ ახალციხის სასწავლო ცენტრის მეთოდ კაბინეტის გამგე.

„ის უბრალოდ მამულსა...“ თბილისი

რამდენიმე დღის უკან ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრში მისულს სასიამოვნო სიურპრიზი დაეხვდა – ჩვენს კურსდამთავრებულს ოთარ კვერცხიშვილს, სასწავლო ცენტრის მოსახელმძღვანელად შემოველო და მიცდიდა, რადგან ჩემს უნახავად წასვლა არ უნდოდა. იგი სამი წლის წინ გახდა ჩვენი სტუდენტი და მოზანსწრაფული, გონიერი, სიკეთით სავსე ახალგაზრდა მალე მთელი სასწავლო ცენტრის ლიდერად იქცა. დღეს იგი ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს განყოფილების უფროსია.

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისაგან მაღლობის სიტყვებს ვისმენთ მე და ჩემი კოლეგები: ირა ონიანი, თამარ გოცირიძე, ეკა უკლება და დარეჯან იმერლიშვილი, თუმცა ეს მაღლობა უპირველესად ეკუთვნის საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ გარი ჩაფიძეს, რომელმაც დააფუძნა სასწავლო ცენტრი ქალაქ თბილისში და საქართველოს ოცდარვა რეგიონში, და ბატონ დავით ბერიძეს – ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს.

ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი ისეთ პედაგოგიურ კოლექტივში, სადაც ყველა თანასწორია, სადაც საერთო გულისტქმა, საერთო საქმე და ერთი მიზანი გვაქვს – დავებმართო, გვერდით დავუდგეთ, მეგზურობა გავუწიოთ იმათ, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, პროფესიონალიზმს ესწრაფვიან და ლიდერობა სურთ.

ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას ვემსახურები ისეთ კოლექტივში, სადაც პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა უმაღლესი მოვალეობაა, სადაც ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობაა.

თინა ბანცური,
ქ.თბილისის სასწავლო ცენტრის პედაგოგი.

ერთი ლექსის საღამო

„თქმის ნამდვილი გაქვლილია
მუჭა დალილი,
მთბიდან უბეჭდ, ჯანცემა
თფთულს ენობიანს,
ტამბინი კატე მფგინემა აბის ჩაულილი
და ტამბინ აბთქმულს,
სტბიქმინი ასლა ჰყუმიან...“



– ეს რუსთაველი პოეტი ქალბატონის, ნელი მანჩხაშვილის, გულიდან ამოხეთქილი იმ რითმების განშტოებაა, რომელიც სანთელივით იღვრებოდა ქ.რუსთავის აკადემიურ ქალაქში “ერთი ლექსის საღამოზე”, დიახ ასე უწოდეს ღონისძიების მესვეურებმა: საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის ქვემო ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნინო კაკიაშვილმა და საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდული კავშირის ქვემო ქართლის რეგიონის თავმჯდომარემ ნათია ალექსიძემ – შეხვედრას რუსთაველი პოეტი ქალბატონების ერთ ჯგუფთან, აი ისინიც: – ლალი მჭედლიძე, ნორეცა გელაშვილი, თამარ ჯაჭვაძე, ნელი მანჩხაშვილი და ცნობილი ჟურნალისტი ლია მარტაშვილი... ზამთრის იმ ლამაზ დღეს, გარეთ რომ ციოდა, (თუმცა წლებიანდელ ზამთარზე საყვედური ნამდვილად არ გვეთქმის) შიგნით საოცარი სითბო იყო, ლექსის რითმიდან წამოსული და სიმღერის ჰანგების ჟღერადობით გამსჭვალული, უამრავი საინტერესო ისტორიები გაიხსენეს სტუმარ-მასპინძლებმა, წაიკითხეს საკუთარი ლექსები, იმღერეს და ქართულ ენას, ქართულ პოეზიას, ქართულ მუსიკას, კლასიკოსთა და საკუთარ პოეზიას კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს, ღონისძიებამ ჭეშმარიტად დიდი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე.

საპროექტი პროექტი

მე ამთვის თანაშემწე ვარ!

მეამაყება ჩემი პროექტი, საზოგადოების ბარკვეული ნაწილი თავიდანვე გულბარილად უჭურავს ამთვის თანაშემწეს, ყველას ჰგონია, რომ მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ! არა... თვითონ განსაჯეთ:

მე ვინაგრაპი ახალშობილას დაბადებაში, ვინაგრაპი, როცა უჭირთ პირველი ამოსუნთქვა! – და მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ?

მე მიჭირავს ხალხი მოსუცი ადამიანების ხალხი და ვინაგრაპი, რომ არ დანიკარბონ სიკვდილის პირას! – და მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ?

მე ვინაგრაპი ვიღვას, რომელთაც მშობლები ბარდაცვალებით და ვინაგრაპი იმ მშობლებთან ერთად, ვინაგრაპი ვიღვას დაბარბავს! – და მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ?

მე ვინაგრაპი ვიღვას პირველ დახმარებას და ვინაგრაპი სიცოცხლას! მე ყურს ვუბრუნებ ახალშობილის სუნთქვას, რათა გავიგო ფილტვის რომელ ნაწილს არ მიეწოდება ჟანგბადი... და მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ?

მე იმ უფროსი ამთვის, ამთვის თანაშემწე ვარ, ყურები და ხალხი ვარ, რომელთაც თქვენი მორჩენა შეუძლიათ! – და მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ?

მე ვინაგრაპი ვინაგრაპი ვიღვას, სანიტარებს... ავიღო სისხლი, და ვინაგრაპი ვიღვას... და მე უბრალოდ, ამთვის თანაშემწე ვარ?

ჩემი ცოდნა და გამოცდილება ადამიანებს სიცოცხლეს უნარჩუნებს!
ამიტომაც ვინაგრაპი ჩემი პროექტით!
მე ამთვის თანაშემწე ვარ!

თელავი თელავი ჩვენი სასწავლო ცენტრის ქოჩუსი ახლდა!



ქალაქი თელავი, ალაზნის გამზირი №71; – ეს ახალი მისამართია ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქალაქ თელავის სასწავლო ცენტრის ახალი შენობისა, რომელიც სწორედ აღნიშნულ მისამართზე გაიხსნა მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, ამიტომაც სემესტრის დაწყების დღეს, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ამ ცერემონიაზე, შენობა-ნაგებობა, რომელიც ორი სართულია, თანამედროვეობისათვის შესაფერისი პროექტითა და ევრო სტანდარტებითაა აშენებული, ერთდროულად შეძლებს ორასამდე სტუდენტის მიღებას.

ლენტის გაჭრის წინ, შეკრებილ საზოგადოებას, სასწავლო ცენტრის პედაგოგებს, თანამშრომლებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, მათ მშობლებსა და რიგით თელაველებს საინტერესო სიტყვით მიმართა, ეს დაუვიწყარი დღე მიულოცა და შრომის ნაყოფიერების ზრდა უსურვა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა გარი ჩაფიქემ, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სარემონტო ბრიგადის ხელმძღვანელი კახაბერ კობახიძე, ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი დავით ბერიძე, ქალაქ ქიათურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი თამარ ჩხეიძე, ხოლო ქალაქ თელავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაია მჭედლიშვილმა, მასპინძლის პოზიციიდან, დიდი მადლობა გადაუხადა ყველას განეული შრომისა და ამ უდიდესი საჩუქრისთვის, რომელიც ყველა თელაველისთვის ჭეშმარიტად დიდი შენაძენია... იყო ურთიერთმილოცვები, სიხარული, ვნებათაღელვა, მომავლის რწმენა და იმედი.

რუსთავი ეკოლოგიური საპროექტის სწავლის აქტიურობის შესახებ

ზოგადად, სწავლების პროცესის ეფექტურობის ამაღლება პედაგოგიკური მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა; სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზარდ თაობაში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორცაა საკუთარი აზრის გამოთქმა და დაცვა, მოსმენა, მსჯელობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებლობა. იმ პროფესიათა ჩამონათვალში, რომელსაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფ სასწავლო ცენტრებშია თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დაცვა-პატრულირებას და გარემოს დაცვას. აქ აქტიურად იწვევება საგანი – ეკოლოგიური სამართალი. ტერმინი ეკოლოგია არის მომავლისკენ მიმართული კომპლექსური მეცნიერება, და გონივრული ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელება არის კაცობრიობის გადარჩენის უზრუნველყოფის საფუძველი. დამეთანხმებით, ამ საგნის სწავლება მსოფლიოში მწვავე ეკოლოგიური მდგომარეობით არის განპირობებული. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის გასაყარზე შეიქმნა რეალობა დედამიწაზე სიცოცხლის სა-

ფრთხეების, არასწორმა სამეურნეო საქმიანობამ, ქიმიური ელემენტების გაზრდილმა მოხმარებამ, გაუთავებელმა ხანძრებმა, გლობალურმა დათბობამ თუ ზოგჯერ გაუსაძლისმა ყინვებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დედამიწაზე სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი. ამ საკაცობრიო პრობლემის გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდებში ეკოლოგიური საკითხებისადმი ახლებურად მიდგომას! აღნიშნულიდან გამომდინარე დასაწყისისთვის სტუდენტებს კიდევ ერთხელ გავამეორებინე ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული მდგომარეობა, ვისაუბრეთ ქვეყნის მთებსა და ვაკეებზე, წიაღისეულ სიმდიდრესა და ჰავის თავისებურებებზე, წყალუხვ მდინარეებსა და ტბებზე, განსახლების ფორმებსა და მრეწველობაზე, რომელიც თანხვედრაშია დედამიწის არსებობასთან. პარალელურად დავახსიანეთ ცალკეული კონტინენტები, დედამიწის საერთო ფართობი და ეკვატორის სიგრძე, ოკეანეთა რაოდენობა, უმაღლესი მწვერვალები და ყველაზე გრძელი მდინარეები. თვალსაჩინოებისათვის ვიყენებთ მსოფლიოსა და საქართველოს რუკებს. აღსანიშ-

ნავია, რომ ქრუსთავის სასწავლო ცენტრის დაცვა-პატრულირების სპეციალობის პირველ კურსზე ჯგუფში ირიცხება სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები (ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი, ოსი) და რაოდენ მისასალმებელია, რომ ისინი ერთ აზრზე არიან და გამოხატავენ სურვილს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობაზე, მათ მიაჩნიათ, რომ სახელმძღვანელოში წამოჭრილ პრობლემებთან ერთად უნდა ხდებოდეს მსჯელობა და ანალიზი კვირის განმავლობაში მსოფლიოში მომხდარი კატაკლიზმებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. მეორე სემესტრიდან, ჩვენ უფრო აქტიურად დავინყებთ სამართლებრივი გაანალიზება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა, რომელიც არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთა და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

ლილა გავაშიძე
პროფესორი, ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის პედაგოგი.

მარნეული პროექტის სიყვარული!

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქალაქ მარნეულის სასწავლო ცენტრი დაარსებიდან მხოლოდ რამოდენიმე თვეს ითვლის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ აინტერესება გამოიწვია.

სასწავლო ცენტრი მარნეულის ცენტრში მდებარეობს რუსთაველის ქუჩის 36-ნომერში, კობტა, ორსართულიან მაღალჭერიან შენობაში, სადაც პროფესიის სწავლის ინტერესმა და სიყვარულმა ერთად შეადუღა ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი გიგობიჭები, აქ, ენობრივი ბარიერის გამო, პირველ რიგში, ისწავლება ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, შემდეგ კი ინგლისური და პროფესიები.

ჯერჯერობით დაკომპლექტდა მხოლოდ 5 ჯგუფი: ფარმაცევტის თანაშემწის, ბაგა-ბაღის აღმზრდელის, დაცვა-პატრულირების, კრიმინალისტიკისა და ბანკის ოპერატორის სპეცია-

ლობის. კოლეჯში ასწავლიან ისეთი გამოცდილი და პროფესიონალი პედაგოგები, როგორებიც არიან: მაია ნავერიანი, ნინო ახალაია, ნანა ბერია, მარია ხარშილაძე, ინარა რუსტამოვა. მათი მონდობა და საქმიანადმი სიყვარული უანგარო და დასაფასებელია.

ცენტრი ამაყობს თავისი სტუდენტებით: თეონა და გიორგი ასპანიძეები, ჯივან ნორეკიანი, ანარ ახმედოვი, ციდა ბადალოვი, ლიანა ამირხანიანი, ლამარა მარტიროსიანი, ქენან მამედოვი, შახინ იბრაგიმოვი...

მართალია, ახლა მარნეულის სასწავლო ცენტრის სტუდენტთა რაოდენობა მცირერიცხოვანია, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ სასწავლო წელს მათი რიცხვი გაიზრდება, ამ საკითხის გადაჭრაში კი დიდი როლი ენიჭებათ დამამთავრებელი (IX X XI XII) კლასების მასწავლებლებს, მშობლებს, რათა დაეხმარონ ახალგაზრდებს პროფესიის სწორად შერჩევაში. მხოლოდ სწორად შერჩეული პროფესიაა სანინ-



დარი ძლიერი და მდიდარი ქვეყნის საშენებლად. შრომის ბაზარზე უპირატესობა ენიჭება იმ პროდუქციას, რომელიც პროფესიის სიყვარულით შეიქმნა, დამზადდა.

ასე, რომ ველით მარნეულის სასწავლო ცენტრში პროფესიის სიყვარულით გულანთებულ ახალი ნაკადის შემობრძანებას.

ნინო კაკიაშვილი
ქ. მარნეულის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

სარედაქციო კოლაგია | რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი ვიქტორიას ქუჩა №5; (ბაბაქიური ძაღაძე) კორპუსი №4 | ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00 | ISSN 2298-0369

საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები

აცხადებს მიღებას

IX და XII კლასდაამთავრებულთათვის, ასევე მიღებენ X, XI, XII კლასის მოსწავლეები სწავლისაბან მოუწყვებლად

არაფორმალური პროფესიული ბანათლების ებილით

ქვემოთაქვნი სტუდენტი ქუჩეა

- ✓ კომუნიკაციური ინჟინერია
- ✓ კომუნიკაციური ბრაფიკა
- ✓ დაცვა-პატრულირება
- ✓ ბარემოს დაცვა
- ✓ კრიმინალისტი
- ✓ ბანკის ოპერატორი
- ✓ ემთნის თანაუემფა
- ✓ ფარმაცევტის თანაუემფა
- ✓ კბილის ტექნიკოსი
- ✓ სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი
- ✓ ვებტარინარი
- ✓ ბაბა-ბაღის აღმზრდელი
- ✓ კორესპონდენტი
- ✓ ბიდი, ტურიზმი

მისამართი:

- ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქუჩა №7
- ქ. რუსთავი, შვედენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
- ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №1
- ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
- ქ. შუთისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №2
- ქ. ხაშური, ბაბარინის ქუჩა №13
- ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №57
- ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
- ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
- ქ. ზიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
- ქ. თიანეთი, რუსთაველის ქუჩა №10
- ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
- ქ. საბარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
- ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
- ქ. ლაგოდეხი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №2
- ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
- ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან დიპლომს!